საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1521 2017 წლის 21 ივლისი ქ. თბილისი

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ“ დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში სამგზავრო ტერმინალის გაფართოების დეტალური არქიტექტურული პროექტის მომზადების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი